ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31261903**
თარიღი: **09/07/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტსა და სამეურვეო საბჭოს ოქმს, ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დანართი - 7 (შვიდი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო
ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA
LANCHKHUTI EDUCATIONAL RESOURCE CENTRE

25/06/2026

MES 9 26 0000801287

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 25 ივნისს, ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლის დირექტორის, ქალნატონი ნინო მჟავანაძის #799933 წერილი, რომელიც ეხება სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ქართველი სამხედრო მოღვაწის, ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ.
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი, განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე.
შესაბამისად გეგზავნებათ საჭირო დოკუმენტაცია საკითხის შემდგომი განხილვისათვის (იხ. საფუძველი და მიბმული ფაილები).

პატივისცემით,

გურიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ
ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
ჩიტაძე ნინო

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლა

LEPL MUNICIPALITY OF LANCHKHUTI
PUBLIC SCHOOL OF VILLAGE CHANCHATI

ლანჩხუთი, სოფელი ჭანჭათი
ტ: 577 62 28 93 ელ. ფოსტა Chanchati@mes.gov.ge

LANCHKHUTI, VILLAGE CHANCHATI
T: 577 62 28 93 e – mail: Chanchati@mes.gov.ge

25/06/2026

MES 3 26 0000799933

ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ქალბატონ ნინო ჩიტაძეს

ქალბატონო ნინო,

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისათვის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ქართველი სამხედრო მოღვაწის, ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭების თხოვნით მოგმართავთ. ვლადიმერ გოგუაძე დაიბადა გურიაში, სოფელ ჭანჭათში 1880 წელს, ხოლო გარდაიცვალა საფრანგეთში, ლევილში 1954 წელს. ვლადიმერ გოგუაძე აქტიურად იყო ჩაბმული სამხედრო საქმეში. განსაკუთრებული გმირობა გოგუაძის რაზმმა გამოიჩინა 1918 წლის იანვარ-მარტში აჭარასა და გურიაში შეჭრილი ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან თავისი ცხოვრება მიუძღვნა საქართველოსა და ქართველი ხალხის სამსახურში ყოფნას. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ვლადიმერ გოგუაძის ისტორია, ჩვენი სკოლისთვის პატივი იქნება მისი სახელის წოდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა სკოლის პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც დაფიქსირდა სასკოლო საზოგადოების პოზიცია. გადაწყდა, რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლას მიენიჭოს ვლადიმერ გოგუაძის სახელი.

გთხოვთ გვიშუამდგომლოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, სკოლისათვის სახელის მინიჭების თაობაზე.

(დანართი ორი მუბმული ფაილი)

პატივისცემით ,

ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის
საჯარო სკოლა
დირექტორი
მჟავანაძე ნინო

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2026 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის ბ“ქვეპუნქტის შესაბამისად

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. საბოლოოს გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო საჯარო სკოლის

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5

ლანჩხუთი. სოფელი. ჭანჭათი 22.06.2026წ

სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

1. სალომე გოლიაძე (მასწავლებელი)
2. სოფო ბერიძე (მასწავლებელი)
3 ეთერ ცინცაბაძე (თავმჯდომარე)
4. მაია გუჯაბიძე (მდივანი)
5. ცირა კალანდაძე (მშობელი)
6. ლელა გვიშიანი (მშობელი)
7. მარიამ ქამუშაძე (მშობელი)
8. ირინა ხოზრევანიძე (მშობელი)

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე - ეთერ ცინცაბაძე
სხდომის მდივანი - მაია გუჯაბიძე

დღის წესრიგი:

1. *სსიპ ლანუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგოუძის სახელის მინიჭების თაობაზე ინფორმაციის მოსმენა და განხილვა.*

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდა: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგოუძის სახელის მინიჭების თაობაზე ინფორმაციის მოსმენა და განხილვა.

მომხსენებელი: სკოლის დირექტორი ნინო მჟავანაძე.

მოისმინეს: ნინო მჟავანაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო, ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის ბიოგრაფია და ისაუბრა მის ღვაწლზე სამშობლოს წინაშე, რითაც ეროვნული გმირის წოდება მიიღო. ხაზი გაუსვა ვლადიმერ გოგუაძის წარმომავლობას, რომ იგი დაიბადა სოფელ ჭანჭათში და სოფლის სკოლისთვის პატივი იქნება მისი სახელის წოდება.

აზრი გამოთქვა : სხდომის თავმჯდომარემ ეთერ ცინცაბაძემ და ისაუბრა ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე.

კენჭი ეყარა დღის წესრიგით განსაზღვრული თემის დამტკიცებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 12:00 სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: ---------- /ეთერ ცინცაბაძე/

სამეურვეო საბჭოს მდივნი: ----------/მაია გუჯაბიძე/

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 5

ლანჩხუთი. სოფელი ჭანჭათი 23.06.2026 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ცირა თავაძე
2. ილია ვადაჭკორია
3. თინა ფირცხალაიშვილი
4. შორენა ღლონტი
5. ბიძინა ვადაჭკორია
6. მაია გუჯაბიძე
7. ეთერ ცინცაბაძე
8. ია ხურციძე (თავმჯდომარე)
9. მამუკა ჩხაიძე
10. ნინო მჟავანაძე (დირექტორი)
11. სოფო ბერიძე (მდივანი)
12. სოფიკო მამულაშვილი
13. ეკა ხუხუნაიშვილი
14. ლაშა ხუხუნაიშვილი
15. ნაილი გოგუაძე
16. სალომე გოლიაძე

დღის წესრიგი:

საკითხი: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭება.

მომხრე- 16
მოწინააღმდეგე- 0
თავი შეიკავა- 0

მომხსენებელი: ნინო მჟავანაძე (დირექტორი)

მოისმინეს: მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის ბიოგრაფია გააცნო და ისაუბრა მის დამსახურებაზე ქვეყნისა და ერის წინაშე, ყურადღება გაამახვია მის წარმომავლობას რომ ვალოდია გოგუაძე დაიბადა სოფელ ჭანჭათში და სკოლისათვის პატივი იქნება თუ მისი სახელი მიებიჭება.

აზრი გამოთქვა: ილია ვადაჭკორიამ, რომელმაც ვლადიმერ გოგუაძის მოღვაწეობის შესახებ ფართოდ ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ განსაკუთრებული გმირობა გოგუაძის რაზმმა

ამოიჩინა 1918 წლის იანვარ-მარტში აჭარასა და გურიაში შეჭრილი ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც ეროვნული გმირის წოდება მიიღო.

კენჭი ეყარა: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისათვის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების საკითხს.

მომხრე- 16
მოწინააღმდეგე- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს:
პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლას ეწოდოს ვლადიმერ გოგუაძის სახელი.

თავმჯდომარე -----

მდივანი -----